



სიკო დოლიძის
სახელობის სკვერი

01.00.287
01.01.834

01.01.834
01.02.285

01.13.03.004.002

01.13.03.006.019

01.00.002

01.13.03.004.001

01.13.03.005.006

01.13.03.006.002

01.13.03.004.014

01.13.03.006.001

01.01.834

01.01.834

01.02.285

01.04.064

01.00.287

01.00.326

01.13.03.013.002

01.02.285

1 (5)

1 (5)

01.13.03.012.001

01.13.03.013.002

1 (5)

2 (5)

01.13.03.012.001

6 (1)

01.02.285

01.02.285

01.02.290

01.01.834

02.109

01.13.03.013.003

1 (5)

1 (5)

01.02.109

20

16 (1)

17 (1)

01.02.285

01.02.290

01.13.03.013.003

1 (5)

1 (5)

01.13.03.012.002

1 (5)

01.13.03.013.003

2 (1)

3 (5)

4 (5)

5 (5)

01.13.03.012.002

1 (5)

01.13.03.013.003

7 (1)

7 (1)

01.02.285

01.13.03.012.014

01.01.834

01.04.064

02.290

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი!

მოგესხენებათ თბილისი მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქალაქთა რიცხვს, რომელთა ქუჩები ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელებს ატარებს. ეს გარკვეული სახის უკვდავყოფა არა მხოლოდ ამ პიროვნებების, არამედ მათი დამსახურებების სამშობლოს და ერის წინაშე. თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ, ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი კინორეჟისორის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სიკო დოლიძის სახელს. დაგვეთანხმებით, სიკო დოლიძის დამსახურება გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე ქართული სახელმწიფოს და მისი ისტორიის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი. მისი შემოქმედების თითოეული ეპიზოდი ეძღვნება საქართველოს, მის ტრადიციებს, კულტურას. შესაბამისად, სიკო დოლიძის სახელობის ქუჩა უნდა მისი ბიოგრაფიის შესატყვისი უნდა იყოს. იმ დროს როდესაც თბილისში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი გაუგებარი მნიშვნელობის და ზოგჯერ არაპოლიტიკორექტული სახელის მატარებელი ქუჩები, უხერხულია სიკო დოლიძის ქუჩა არსებობდეს იმ ფორმით, როგორითაც დღეს არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, მოხდეს საკრებულოს შესაბამისი კომისიის წევრთა და ჩვენი შეხვედრა, რათა განვიხილოთ ეს საკითხი და მივიღოთ ერთობლივი და ღირსეული გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

საქართველოსკინემატოგრაფიისეროვნული
ცენტრის დირექტორი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
თავმჯდომარე

საქართველოს კულტურის პალატის
პრეზიდენტი


გ. ჩხეიძე

გიორგი ჩხეიძე



გიორგი ბეგეჭკორი

დავით ოქიტაშვილი





სიკო(სიმონ) დოლიძე

(1903-1983)

კინორეჟისორი, სცენარისტი და კინოდრამატურგი, ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

დაიბადა ოზურგეთში. 1925 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი.

1925 წლიდან დაიწყო მუშაობა „სახკინმრეწვში“ თავდაპირველად რეჟისორ ასისტენტად, შემდეგ მხატვრული და დოკუმენტური ფილმების დამდგმელ რეჟისორად; 1927 წელს შექმნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დღე ყარაჩოში“. 1928 წელს ჩამოაყალიბა კინოქრონიკის სექტორი, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა; გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები: „მიურსალის გარღვევა“, „მიწის ძახილი“, „ფშავეთი“, „სახელოვანი გზა“; მის მიერ შექმნილი მხატვრული ფილმებია: „ზვავთა მხარეში“, „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „დარიკო“, „მეგობრობა“, „ჯურღაის ფარი“, „ჭრიჭინა“, „ეთერის სიმღერა“, „ფატიმა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „პალასტომი“, „ქალაქი ადრე იღვიძებს“.

სიკო დოლიძე იყო თავისი ფილმების სცენარის ავტორიც. აღსანიშნავია ის, რომ მან კინოხელოვნებას აზიარა სერგო ზაქარიაძე, თამარ ციციშვილი, აკაკი კვანტალიანი და სხვები.

დაწერა სცენარები მულტფილმებისათვის: „ჩხიკვთა ქორწილი“, „სათაგური“, „ბულბულის იუბილე“;

1957-1976 წლებში იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე.

მიღებული აქვს სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოები.

1950 მიიღო სახელმწიფო პრემია დ. რონდელთან ერთად მხატვრული ფილმისათვის „ჯურღაის ფარი“.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.